საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისში აღმოჩენილი უცხოური მონეტები

თბილისში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. სპილენძი მანგუ ყაენი 1254 ზემოთ – შუბლი, ქვემოთ –ზურგი

თბილისში აღმოჩენილი უცხოური მონეტები, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი უცხოური მონეტები და მონეტების განძი. ძვ. წ. II–I სს. მიეკუთვნება აქ აღმოჩენილი ბაქტრიული და მცირეაზიული (ქალაქების ამასტრიდისა და სოლის) მონეტები. ანტ. ხანის მონეტებიდან აღსანიშნავია ძვ. წ. I ს.–ახ. წ. I ს. რომაული დენარები, პართული დრაქმები, I–III სს. აზიის ბოსფორული მონეტები და შაპურ I-ის (241–272) სასანური დრაქმა. 1904 „მაიდანზე" აღმოჩნდა სასანურ-ბიზანტიური ვერცხლის მონეტების შერეული განძი (დაახლ 800 ც.), რ-ის ქრონოლ.დიაპაზონია 579–641. თბილისში მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა დროის (VI, X–XI სს.) სპილენძის, უფრო იშვიათად – ოქროს ბიზანტ. მონეტები; მიკვლეულია VIII ს. არაბ. დირჰემი და ფელსები. 1961 ბოტან. ბაღის ტერიტ-ზე აღმოჩნდა X ს. დასასრულისა და XI ს. დასაწყისის არაბ. ვერცხლის მონეტების ნატეხების განძი. მრავლადაა ნაპოვნი XI–XIII სს. შირვანშაჰების, ილდეღიზიდებისა და სელჩუკების მონეტები. დადასტურებულია ქართ.-აღმ. მონეტების რამდენიმე შერეული განძი. თბილისში აღმოჩენილია ჯალაირიდებისა და ჰულაგუიდების სახელით XIV ს-ში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, მ. შ. განძიც. მრავლად ჩნდება ირან. და თურქ. მონეტები. აღსანიშნავია 1929–30 აბანოთუბანში აღმოჩენილი XVIII ს. ირან. ვერცხლის მონეტების დიდი განძი. თბილისში

მიკვლეულია ევრ. მონეტებიც (იხ. ევროპული მონეტების განძი). ყოველივე ეს მიუთითებს, რომ თბილისს ინტენს. სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის და დასავლეთის მრავალ ქვეყანასთან.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965; ა ნ თ ა ძ ე მ., საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV–XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, თბ., 1982; ქ ე ბ უ ლ ა ძ ე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV–XVIII საუკუნეებში, თბ., 1971; Б р а ш и н с к и й И. Б., К истории экономических связей Восточного Причерноморья в античную эпоху (по нумизматическим данным), «Известия АН Грузии», 1967, т. 47, №3; Д ж а л а г а н и я И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979; К у т е л и я Т. С., Грузия и сефевидский Иран, Тб., 1979.

გ. დუნდუა